საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, დიდი დიღომი, ს/კ კოდი# 01.72.14.0 35.802

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის, საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა.

შპს სიმპლექსის ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2017 წლის თებერვალს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, დიდი დიღომში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, დიდი დიღომში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის გამოყოფილი, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა, საქართველოში მოქმედ, სამშენებლო ნორმებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია, ინდ მეწარმე, ინჟ. გეოლოგ შამუკა ბაბილოძის ჯგუფის მიერ, 2017 წლის თებერვალს.

მათ მიერ არის შესრულებული თიხოვანი გრუნტის ლაბორატორიული გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

სარჩევი

შესავალი

1. ზოგადი ნაწილი
   1.1 გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური პირობები.
   2. სპეციალური ნაწილი
   2.1 გრუნტების ფიზიკურ მექანიკური ნაწილები
   3. დასკვნები და რეკომენდაციები

დანართი
ტექნიკური დავალება ---------- 1 ფ.
ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი ---------- 1ფ.
წყლის ქიმიური ანალიზი ---------- 1ფ.
ტოპოგეგმა---------- 1ფ.
ჭაბურღილების გეოლოგიურ ლითოლოგიური ჭრილები --- 1ფ.
საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები ---------- 2ფ.

პროექტით საკვლევ მოედანზე დავალების თანახმად უნდა აშენდეს 9 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით, რაც შეეხება სახურავს, მისი კონსტრუქცია და ჩარჩოვება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით, გაყვანილი იქნა სამი ჭაბურღილი საერთო სიგრძით 31 გრძ/მ. ბურღვა მიმდინარეობდა საბურღი აგრეგატების УГБ 50 ის გამოყენებით.

მშრალად, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, შემოკლებული რეისებით.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე, გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა, გრუნტის შემდეგი ფენები: ფენა #1 ნაყარი ფენა, ფენა #2 თიხა ფენა, ფენა #3 კენჭნარი-თიხნარის და ქვიშნარის შემავსებლით და ფენა #4 თიხების სუბარგილიტების და ძლიერ გამოფიტული გათიხებული ქვიშაქვები მორიგეობა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული სსაინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, ქ. თბილისში, სოფ, დიღომი, დიდი დიღომში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ სამშენებლო მოედანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები, ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები.

ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად, საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV - ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფი „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავ სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირ... გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობას დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР

от 23 ноября 1979 г. (протокол № 37)

Чохонелидзе Гуле Ильиче

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологии и инженерной геологии

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი.ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. „30" ივნისის გადაწყვეტილებით გ.ი.ჭოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.